მოწყობილობის დანიშნულება

ყავის საფქვავი განკუთვნილია ყავის მარცვლების დასაფქვავად მათი შემდგომი მომზადების მიზნით.

უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობა განკუთვნილია მხოლოდ საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის.
- ელექტროქსელში ჩართვამდე დარწმუნდით, რომ მოწყობილობა სწორად არის აწყობილი და მისი ყველა ნაწილი მყარად არის დაფიქსირებული.
- არ შეეხოთ ელექტროჩანგალს ან კვების კაბელს სველი ხელებით.
- კვების წყაროსთან დაკავშირებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი სახლის ელექტროქსელის ძაბვა შეესაბამება ტექნიკურ მახასიათებლებში მითითებულ პარამეტრებს.
- არ დაქაჩოთ და არ გადააადგილოთ მოწყობილობა კაბელით. არ მოხაროთ და არ დაახვიოთ კაბელი მოწყობილობის გარშემო. ასევე არ დაუშვათ კვების კაბელის გადაკიდება მაგიდის კიდეზე ან მისი შეხება ცხელ ზედაპირებთან.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- ყავის საფქვავის გაწმენდის წინ აუცილებელია მისი გამორთვა და ჩანგლის როზეტიდან ამოღება.
- არ გამოიყენოთ გამხსნელები ან სხვა ქიმიური ნივთიერებები მოწყობილობის გასაწმენდად. არ გარეცხოთ ყავის საფქვავი წყლის ჭავლის ქვეშ.
- გაუმართაობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამორთეთ მოწყობილობა ელექტროქსელიდან. არ ჩართოთ მოწყობილობა ხილული დაზიანებების არსებობისას, აგრეთვე კაბელის ან ჩანგლის დაზიანების შემთხვევაში. მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არასოდეს დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. მოცემული მოწყობილობა არ შეიცავს ელემენტებს, რომელთა მომსახურებაც შესაძლებელია მომხმარებლის მიერ. რემონტისთვის მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- გამოიყენეთ მხოლოდ ის კომპლექტაცია, რომელიც მოყვება მოწყობილობას. ნებისმიერი სხვა აქსესუარის გამოყენებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ასევე დაგაკარგვინოთ უფლება უფასო საგარანტიო მომსახურებაზე.
- გამთიშეთ ყავის საფქვავი ქსელიდან, თუ მას დიდხანს არ იყენებთ.
- არ დატოვოთ ჩართული მოწყობილობა უმეთვალყურეოდ.
- არ დაახშოთ მოწყობილობის სავენტილაციო ხვრელები და მოარიდეთ მათში სითხის მოხვედრას.
- ყავის საფქვავის მუშაობის დროს კატეგორიულად აკრძალულია კონტეინერში ნებისმიერი საგნის ჩადება ან რაიმე სახის მომსახურების სამუშაოების ჩატარება.
- კატეგორიულად აკრძალულია ყავის საფქვავის ნებისმიერი ნაწილის წყალში ჩაძირვა.
- არ ჩართოთ ყავის საფქვავი, თუ ის ცარიელია.
- ნუ განათავსებთ რაიმე საგანს მოწყობილობის ზედაპირზე.
- არ გამოიყენოთ ყავის საფქვავი უწყვეტად 60 წამზე მეტი ხნის განმავლობაში.